

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის, რეჟიზორი შორღანიას მიმართვა

ჩემო კვირვასო გურულებო,



ასი წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, მამა ჩემი დაიბადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ბილოცავში, მამაჩემმა, ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ეკვივარეშა, რომ ეს იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დღე მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში. იმასაც კი ვიტყვი, რომ ეს იყო საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი ბოლო 700-ზე მეტი წლის განმავლობაში, დიას, მას მერე, რაც მონღოლებმა დაიპყრეს საქართველო 1238 წელს.

საუკუნეების გავლის მერე საქართველო პირველად გახდა დამოუკიდებელი და ერთიანი ქვეყანა, მას ჰყავდა დემოკრატიულად არჩეული და განათლებული მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი ნოე ჟორდანი.

ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გზა იყო გრძელი და სირთულეებით აღსავსე. ქართველებს ჰქონდათ მრავალსაუკუნოვანი და ძლიერი კულტურა, მაგრამ არ



უძთავრეს ეროვნულ დღესასწაულს, 26 მაისს ვულოცავ სრულიად საქართველოს, ჩვენს რეგიონში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს, ვაღიარებ, რომლებიც მუდამ დგანან

ქვეყნის სამსახურში. სწორედ დღევანდელ დღეს განსაკუთრებული პატივით უნდა გავიხსენოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირები, ქელს ვიხრი მათ წინაშე. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და 100 წელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან - ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრივობის უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღი. კიდევ ერთხელ გილოცავთ, მრავალს დავესწროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში!

პატივისცემით,

გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვამია.



Large banner with logo and text: 'ს ა ჯ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი . ყ ო მ ე ლ კ ვ ი რ ი მ უ ლ ი ბ ა მ ო უ მ ვ ა ბ ა . № 21 (10266) 28 მაისი, 2018 წ. შახი 60 თეთრი.' Below the banner is a box with 'გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან'.

ლაზიანების გზით ამერიკელი მოქალაქის გაშურების მდგომარეობა მარი კოპოვაში



11 მაისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დეაზუში, დამინების გზით ამერიკელი მოქალაქის ამანდა ონოის გაქურდვა განიზარადა. ამანდა მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციაში, „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ - ფაქტის შესახებ ინფორმაცია, პირველად აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ქეთევან ხიდაშელმა გაავრცელა. „მადლობა ოზურგეთის პოლიციას, რომ ასე ოპერატიულად იმოქმედა ამერიკელი მოხალისეზე თავდასხმის საქმეზე, ვერ კიდევ ვერ გაურკვეველი თავდასხმელი დამნაშავეა, ალკოვოლიკი, თუ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი, რაც მთავარია, ეს პირი ისევ თავისუფლად დაიარება ხან დანებით, ხან ნაჯახით, ხან ცელოთ, ხან „აღვიორტკებით“ ... რა ბერკეტი აქვს დიპლომატიურ კორპუსს? არც არაფერი, გაიწვიეს ჩვენი მოხალისე ამერიკელი... ასეთი უუნარო პოლიცია გვყავს, სანამ ვინმეს მართლა არ მოკლავს ეს კაცი, არაფერს აკეთებენ! ირონია, ცინიზ-

მი ისევ მსხვერპლის მიმართ! არ გვაქვს ჩვენ სახელმწიფო და მორჩა!“ - წერს ხიდაშელი. სოციალურ ქსელში. მისი თქმით, ინციდენტი ორჯერ მოხდა, ერთი და იგივე პირის მიერ. „მართლაც ამერიკელი მოხალისის უსაფრთხოებაზე არ არის საუბარი, ეს კაცი უვარდება მეზობლებს სახლში, ამინებს ღამით ვამეღლებს,“ - ამბობს ის. ფეისბუქმომხმარებელი ნინო ზურაბიანი წერს: „ჩემს სამსახურში ძალიან ხშირად დადიოდა და მეტუქვებოდა. დანთავ იყო, ერთხელ ხანჯალი თუ ცელი იყო, აღარ ვიცი, ჩემდღე აღარ შემოუშვებს, მოკვლით მეტუქვებოდა. სახლშიც რამდენჯერმე მოვიდა, ეზოში დაუკითხავად შემოვიდა. ჩემი ძალიც კი გაიყოლა ერთხელ. სულაც არ ვარ რასისტი, მაგრამ მინცდამინც ფერადკანინას უნდა დასხმოდ თავს, თავი რომ შექუხებინა პოლიციას? ჩემს გარდა, რამდენიმე ადამიანი ვიცი კიდევ, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს ამ არაკაცის გამო“ ჩვენ დაუკავშირდით სოფელ დეაზუში დეპუტატსა და რწმუნებულს, სადაც ფაქტი მოხდა. თური გოგოტიშვილი და როზეტა სკამოჩაიშვილი ფაქტს ადასტურებენ. „შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების

მეასე უთაგბეჭდავი 26 მაისი ოზურგეთში



ალიონი. საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების სათუთლო დღე, 26 მაისი გურულების სათავე ქალაქში შთამბეჭდავად აღინიშნა. თბილისელმა მაღალი რანგის სტუმრებმა, მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ყველგან დახვდნენ და მუშაობის შედეგს შეაჯამეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავდადებულ მებრძოლთა მემორიალი. ოზურგეთის დედაქალაქის სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. ქალაქის ცენტრალურ, ზვიად გამსახურდიას სახელობის თეატრალურ მოედანზე მოეწყო მძიმე ტექნიკის გამოფენა. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრ-

დობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების მიერ ორგანიზებულმა საბავშვო კონცერტმა. დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტულმა ღონისძიებებმა - საჩვენებელმა გამოხვედებმა ტაეკვანდოსა და მკლავჭიბში. ოზურგეთელი ოცადობით შეხვდნენ ცნობილ ნაღობლეველ რეკორდსმენს ვოლერბი მანარაძეს, რომელმაც ვინისის რამდენიმე ახალი რეკორდი მოუტანა ქვეყნის №1 დღესასწაულს. საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ 26 მაისს საინტერესო ღონისძიებით შეხვდა მ. ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი, სადაც მოეწყო გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის საგანგებო გამო-

ფენა. სახიერი გახლდათ საბავშვო კუთხეები ჭადრების ბაღში: ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, ქვიშის სახატავი ზონა, გიგანტური ბატუტი, გიგანტური ფაზლი, აქვა გრიძი, საბავშვო სახატავი კუთხე, შემეცნებითი სივრცე, ანიმატორები. დამსწრე საზოგადოება ოცადობით შეხვდა თეატრალურ მოედანზე ადგილობრივი ძალებით ორგანიზებულ კონცერტს, „ჭადრების ბაღში“ თოჯინების თეატრის სპექტაკლებს ბავშვებისათვის, მწვანე კუთხეს, შემეცნებითი სივრცეს, თექისა და სალხური რეწვის ნიმუშების გამოფენას, წიგნების გამოფენას (ცენტრალური ბიბლიოთეკა - გამოძიებულმა „ბიბლუსი“) რუსთაველის ქუჩაზე, კოლეჯ „პორიზონტში“ მოეწყო ქართული ჩაის მწარმოებელი კომპანიების პრ-

ოფექციის, უძველესი გურული ვაზის ჯიშებისგან წარმოებული ღვინის, კოლეჯ „პორიზონტის“ სამკერვალო ნაწარმის, ადგილობრივი საკონდიტრო საწარმო „სანდომის“, ღვინის მწარმოებელი კომპანია „ასკანელი მშენის“ პროდუქციების გამოფენები. საღამოს 20 საათისათვის თეატრალურ მოედანზე სახელდასველოდ გამართულ სცენაზე მაყურებელთა წინაშე გრანდიოზული საკონცერტო პროგრამით წარსდგნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები ნოდiko ტატიშვილი, სალომე ბაკურაძე; ანსამბლი „მეტენი“, ვკუვი „ფლუმი“, რომს რცხილაძე და ბენდი „+995“. გვიან ღამით ოზურგეთის ცაფერადიანი ფოიერვერკით დასცერა.



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.
ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.
რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.
რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.
გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოქმებათი აციონზე
«ალიონით»

ჩაის კლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოები დათვალიერეს



სახელმწიფო პროგრამაში „ქართული ჩაი“ შპს „მარსი“ 2017 წლის აგვისტოში ჩაერთო. შპს „მარსი“ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას 18 ჰექტარზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაგომარში ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 45,000 ლარს შეადგენს, საიდანაც 32,000 ლარს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო აფინანსებს. პროგრამის „ქართული ჩაი“ მეწყვერმა ლევან ურუტაძემ და გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერეს. პროგრამაში „ქართული ჩაი“ საქართველოს მასშტაბით ჩართულ 30 ბენეფიციარს 36 პროექტი დაუმტკიცდა. ჩაის სარეაბილიტაციო პლანტაციების ჯამური ფართობი 848 ჰექტარს შეადგენს, ხოლო ჯამური ინვესტიცია 2,125,752 ლარია, საიდანაც 1,495,538 ლარი სახელმწიფო თანადაფინანსდება. პროგრამა „ქართული ჩაი“ 2016 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექ-

ტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიოჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითურუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის დაფინანსებას იღებენ იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „წარმოე საქართველოში - ბიზნესის“ ფარგლებში, ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

როდის დაიწყება მუზეუმის რემონტი?

ალიონი. ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს რომ რემონტი ესაჭიროება, არახალია. ამის შესახებ საქმის კურსშია კულტურისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები. შესაბამისი ადგილობრივი სამსახურების მიერ მიმდინარეობს თანხების მოძიება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე მუშაობა. ტენდერი ერთხელ უკვე გამოცხადდა პროექტის შედგენაზე, მაგრამ რადგან მონაწილეობის სურვილი არავინ გამოთქვა, ხელმეორედ გამოცხადება გახდა საჭირო. „განმეორებითი ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხად-

დება“, - გვითხრა თემურ გიორგაძემ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსმა. მუზეუმში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა 2016 წლის დეკემბერში შეიქმნა, როცა შენობის მეორე ფლიველში ფოლკლორის ცენტრის მშენებლობა დაიწყო. ვიტრაჟების მონტაჟისას დაზიანდა მუზეუმის ინტერიერი. ჩამოშლილია ჭერი, აყრილია იატაკი, ცარიელია ვიტრინები. შესაბამისი პირობების არქონის გამო აღარ იმართება გამოფენები.

განცხადება
მეტალოკლასტმასის
პარ-ვანჯრების
დამზადება
ყველაზე იაფად და
ხარისხიანად
ტელ: 598 00 53 53

ოზურგეთში, გმირთა მოედანზე არსებული გაზგასამართი საღებურის დემონტაჟი მოხდა.

ალიონი. ადგილობრივი ხელისუფლებისა და საღებურის მუშაკების მოლაპარაკებების შედეგად გაზგასამართი საღებური ადგილს შეიცვლის და გმირთა მოედანს დატოვებს. აღნიშნული საღებური 12 სართულიანი კორპუსის ახლოს ფუნქციონირებდა და ამ კორპუსში მცხოვრები მოსახლეობა მის დემონტაჟს ითხოვდა. მოსახლეობის განცხადებით, გაზგასამართი საღებური საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივებს.

„არის მძაფრი სუნი, შიშის ქვეშ ვცხოვრობთ, ან მოვიწამლებით ან აფეთქდებით“, - აცხადებდნენ კორპუსის მაცხოვრებლები. ოზურგეთის მერიამ დაიწყო მოლაპარაკებები გაზგასამართი საღებურის მფლობელებთან და მიადგინა შეთანხმება საღებურის ქალაქის გარეუბანში გადატანასთან დაკავშირებით. საღებურის დემონტაჟი დღეს დასრულდა.



ბარდაცვალების მიზეზი დაუდგენელი დარჩა

ალიონი. ამ დღეებში „მედაფას“ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში სოფ. სილაურის მცხოვრები 44 წლის ზ. დ. მიიყვანეს. პაციენტის მდგომარეობა მძიმე იყო. მიუხედავად ექიმების ძალისხმევისა, ზ. დ. გარდაიცვალა. გარდაცვლილს მეუღლე, მცირეწლოვანი ვაჟი და მოხუცი მამა დარჩა. თავდაპირველად გავრცელდა ვერსია, რომ ზ. დ.-მ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლითი საშუალებით ჩაატარა, რაც გარდაცვალების ერთ-ერთ მიზეზად მიჩნდა. თუმცა, ამჟამად გარდაცვლილის ახლობლები ამ თემაზე არ საუბრობენ. **დავით მდინარაძე,** სამედიცინო ცენტრ „მედაფას“ დირექტორი: ზ. დ. „მედაფას“ კლინიკაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა მძიმე მდგომარეობაში მიიყვანა: დაუზუსტებელი შოკი, თირკმელი არ მუშაობდა, DVN-ის სინდრომი. სისხლის შედეგადაც არ ხდებოდა. ეჭვი უცხო ციებ-ცხელებაზე მიიტანეს. ექიმები საჭირო ზომებს ღებულობდნენ.

მძიმე ინტოქსიკაციის ფონზე პაციენტს დაეწყო სუნთქვის უკმარისობა, გადაიყვანეს ხელოვნურ სუნთქვაზე, თუმცა პაციენტი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზის დასადგენად ოჯახმა გვამის ექსპერტიზაზე უარი განაცხადა. სოფელ სილაურში ერთ-ერთ მოქალაქეს დაუკავშირდით, რომელმაც თქვა, რომ თავდაპირველად ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატით მოწამვლაზე საუბრობდნენ, ახლა ამ თემაზე არაფერს ამბობენ. - არასწორი ინფორმაციაა, თითქოს გარდაცვლილი ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატით შეწამვლითი საშუალების შედეგად დაიღუპა. იგი ერთი წესიერი ადამიანი იყო, ცუდად ვახდა და საწმენდო ფაქტის წინაშე ვდგევართ, - გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფ. სილაურიდან **გორა კილაძემ.** **გაზეთი „ალიონი“ წუხილს გამოთქვამს მომხდარის გამო და თანაუგრძობს გარდაცვლილის ოჯახს.**

დაშინების გზით ამერიკელი მოქალაქის გაეუბრუნა მცდელობა

საფუძველზე, 1950 წელს დაბადებული ბ.ს. ყაჩაღის, მუქარის და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს. ამ დროისთვის მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, დაზარალებულის მიერ სავარაუდო დამნაშავეს ამოცნობის პროცედურა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 11 მაისს, დილით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დეაზუში, ცენტრალური საავტომობილო გზის ტროტუარზე ქვეითად მიმავალ აშშ-ს მოქალაქეს, „მშველიის კორპუსის“ მოხალისეს - ა.ო.-ს დანის დემონსტრირებით ფული მოსთხოვა. ქალბატონმა ყვირილი დაიწყო, რის შემდეგაც თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან ისე მიიძალა, რომ აშშ-ს მოქალაქისთვის არანაირი ფიზიკური დაზიანება არ მოუყენებია და არც თანხა წაუღია. 22 მაისს კი ბ.ს.-მ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში უკანონოდ შეაღწია ერთ-ერთი მოქალაქის სახლის ეზოში და 1965

წელს დაბადებულ ქალბატონს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.ს. 23 მაისს დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება ყაჩაღობის, მუქარის და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 151-ე და 160-ე მუხლებით მიმდინარეობს“- ნათქვამია შშს-ს ოფიციალურ განცხადებაში. გაერცხლებული ინფორმაციით, ამერიკელმა მოხალისემ საქართველო ვადაზე ადრე დატოვა. 25 მაისს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სსდომმა გაიმართა. მოსამართლე ბიძინა სტურუამ დანაშაულზე ეჭვმიტანილ ბ.ს.-ს წინასწარი პატიმრობა 2 თვით მიუსაჯა. პირველი სასამართლო მოსმენა მიმდინარე წლის 13 ივლისს გაიმართება.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის, რეჟისორ დანიას მიმართვა

ჩემო პირვასო გურულებო,

ჰქონდათ ნაციონალური ერთობის მტკიცე გრძობა. ეს გრძობა და ნაციონალური ერთობის კონცეფცია შუა საუკუნეებში საერთოდ არ არსებობდა, და ფეოდალური დაქვემდებარება ნორმად იყო ქცეული.

1805 წელს, როდესაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორია მთლიანად ჩაიკაფა, ჩვეყანა დაყოფილი იყო სამეფოდ და სამთავროდ, ესენი იყო შიდა ქართლი, სამეგრელო, იმერეთი. მხოლოდ საფრანგეთისა და აშერიკის რევოლუციებმა გამოიწვიეს ნაციონალური ერთობის ძლიერი შეგრძობა.

შეგრძობა, რომელმაც ქარიშხალივით გადაურა მე-19 საუკუნის ევროპას და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მსოფლიოს ჩამოყალიბებას.

საქართველოს არ მთელია მონაწილეობა ამ მოძრაობაში. როგორც ვიცით, იმ დროს, როცა ნაციონალისტურმა მოძრაობამ შეიპყრო ევროპის ქვეყნები, საქართველო იყო ოკუპირებული ქვეყანა, გაერთიანებული აუტორიტარული ცარისტული იმპერიაში, სწორედ ამან შეუშალა ხელი საქართველოს ამ პროცესში ჩართვას. ამის შედეგი იყო, რომ მე-19 საუკუნის ბოლომდე ქართველისთვის პიროვნული მიკუთვნებულობის გრძობა ვრცელდებოდა მის ოჯახზე, მის სოფელზე, და არაუბუნებს მისი პროვინციისა.

ქართველ პატრიოტებს დიდი და თავდადებული მუშაობა დასჭირდა რომ ეს ვიწრო-კუთხური განწყობა შეეცვალათ. სოციალ-დემოკრატების ფარულმა მოღვაწეობამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა იმაში, რომ შეცვლილიყო დამოკიდებულება ცარისტული რეჟიმისადმი და მომზადებულიყო ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო, რაც საბოლოოდ განხორციელდა კიდევ 1918 წელს ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით.

1918 წლის ქართულ მთავრობას მხარს უჭერდა პრაქტიკულად მთელი საქართველო, ყველა სოციალური კლასი. სწორედ ამ საერთო მხარდაჭერის შედეგი იყო, რომ 1990-იანი წლებისთვის.

განსხვავებით, 1918 წელს არ მომხდარა დამანგრეველი სამოქალაქო ომი, გარდა ამისა, ერთიანი და დამოკიდებული საქართველო აერთიანებდა აფხაზეთსაც, ეჭ. სამხრეთ ოსეთსაც, და რა თქმა უნდა, აჭარასაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ერთობა მიღწეული იყო უაღრესად რთულ საერთაშორისო პირობებში. სწორედ ამ დროს სამოქალაქო ომი მჭიდროვდა რუსეთში, ბრიტანელების მიერ წაქეზებული დენიკინის თეთრი არმია უტყვევდა საქართველოს, სამხრეთით დაშლის პირას მყოფ ოტომანების იმპერიაში 1917 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგად არეულობა სუფევდა, რის შედეგადაც ათასობით რუსი, პოლონელი და სხვა ნაციონალობის ჯარისკაცების განდრეკილება და მათი სამშობლოში დაბრუნება იყო საჭირო, მას შემდეგ რაც ახლად დამსობილმა ცარისტულმა რეჟიმმა მათთვის ისინი რუსეთ-თურქეთის საზღვარზე, რაც იმ დროს საქართველოსა და თურქეთის საზღვარს წარმოადგენდა.

ამ მტკიცე უკუპირისპირებას დიდი არეულობა შეუბოძანეს საქართველოში. დიდი კონტრასტი იყო საქართველოს მეორე დამოუკიდებლობის მიღების მომენტში, როდესაც საბჭოთა იმპერია დაიშალა საკუთარი სიმძიმის ქვეშ, და როცა დიდი სახელმწიფოები, უმეტესად შეერთებული შტატები, ენმარებოდნენ და აფინანსებდნენ დამოუკიდებლობის მოძრაობას.

მოუხელავად აძლენი ხელისშემწყობი პირობებისა, 1990-იანი წლების ლიდერებმა ვერ მიახერხეს დადებითი საერთაშორისო სიტუაციის გამოყენება, და ერთი წელიც არ იყო გასული ზვიად გამსახურდიას არჩევანთან, როცა იგი გააგდეს თბილისიდან. საქართველოში განაგდა სამოქალაქო ომი, რომელმაც დედაქალაქის ცენტრის ნახევარი დაანგრა, და ათასობით ადამიანი შეიწირა. ამას გარდა, აფხაზეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და სამოქალაქო ომის არეულობის დაემატა 300.000 ქართველი ლტოლვილი!

დაიან, საქართველო გადარჩა, და თავი გამოაცხადა კიდევ დასავლური ორიენტაციის ქვეყნად, თუმცა უნდა გვასოფდეს, რომ დემოკრატია არ გამოიხატა და მხოლოდ ოფიციალურ რიტორიკაში, ის უპირველეს ყოვლის გამოიხატება ქვეყნის მოქალაქეების შეგნებაში, რაც ვერ კიდევ არაა საბოლოოდ მიღწეული საქართველოში.

იმის მტკიცე საბუთი, რომ ქვეყნის მოსახლეობის შეგნებაში ვერ არ არსებობს დემოკრატის დასავლური გაგება, არის ის ფართოდ გავრცელებული მცდარი შეგნება, რაც გამოიხატება სტალინური სოციალიზმისა და დასავლური სოციალიზმის იდენტურობაში, მიუხედავად იმის, რომ ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენებს წარმოადგენენ.

ასევე, უეციობა სუფევს საქართველოს მოსახლეობის დიდ მასებში (და ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში) იმის არცოდნაში, რომ ყველა დასავლური ორიენტაციის ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, სახელმწიფო ვერდნობა სოციალიზმის პრინციპებზე აგებულ ინსტიტუტებზე, დაწესებული რამსი მკაფიანადის მშრომელა პარტიით დიდ ბრიტანეთში, სახალხო ფრონტით საფრანგეთში, ყველა სკანდინავიური ქვეყნების პოლიტიკური წყობით, ფრანკლინ რუზველტის „ახალი მორიგების“ პრინციპში.

ამერიკაში, ყველა ესენი შეიცვადნენ და დღესაც შეიცავენ ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, მშრომელების ხელფასიანი შეზღუდვა, მოქალაქეების სამედიცინო დახვეწვა, უმუშევრობის დროს დახმარების გაწევა, და კიდევ მრავალი სხვა.

პოლიტიკური სიწიფე არასოდეს არ ვარდება ციდან, მას სჭირდება დრო, სჭირდება აზროვნების და ჩვეების თანდათანობითი ევოლუცია.

დასავლელი ისტორიკოსები ყველანი ერთხმად აფასებენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიდ მიღწევებს, მისი მთავრობის უანგარო მოღვაწეობას, რაც სამწუხაროდ, არ შეიმჩნევა საქართველოში, თუმცა უკვე 25 წელი გავიდა დამოუკიდებლობის აღდგენის მერე.

არსად საქართველოში, გარდა ლანჩხუთისა, სადაც დაიბადა ნოე ჟორდანი, ვერაჯ არაა მიღწეული ამ

და მხოლოდ ოფიციალურ რიტორიკაში, ის უპირველეს ყოვლის გამოიხატება ქვეყნის მოქალაქეების შეგნებაში, რაც ვერ კიდევ არაა საბოლოოდ მიღწეული საქართველოში.

იმის მტკიცე საბუთი, რომ ქვეყნის მოსახლეობის შეგნებაში ვერ არ არსებობს დემოკრატის დასავლური გაგება, არის ის ფართოდ გავრცელებული მცდარი შეგნება, რაც გამოიხატება სტალინური სოციალიზმისა და დასავლური სოციალიზმის იდენტურობაში, მიუხედავად იმის, რომ ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენებს წარმოადგენენ.

ასევე, უეციობა სუფევს საქართველოს მოსახლეობის დიდ მასებში (და ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში) იმის არცოდნაში, რომ ყველა დასავლური ორიენტაციის ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, სახელმწიფო ვერდნობა სოციალიზმის პრინციპებზე აგებულ ინსტიტუტებზე, დაწესებული რამსი მკაფიანადის მშრომელა პარტიით დიდ ბრიტანეთში, სახალხო ფრონტით საფრანგეთში, ყველა სკანდინავიური ქვეყნების პოლიტიკური წყობით, ფრანკლინ რუზველტის „ახალი მორიგების“ პრინციპში.

ამერიკაში, ყველა ესენი შეიცვადნენ და დღესაც შეიცავენ ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, მშრომელების ხელფასიანი შეზღუდვა, მოქალაქეების სამედიცინო დახვეწვა, უმუშევრობის დროს დახმარების გაწევა, და კიდევ მრავალი სხვა.

პოლიტიკური სიწიფე არასოდეს არ ვარდება ციდან, მას სჭირდება დრო, სჭირდება აზროვნების და ჩვეების თანდათანობითი ევოლუცია.

დასავლელი ისტორიკოსები ყველანი ერთხმად აფასებენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიდ მიღწევებს, მისი მთავრობის უანგარო მოღვაწეობას, რაც სამწუხაროდ, არ შეიმჩნევა საქართველოში, თუმცა უკვე 25 წელი გავიდა დამოუკიდებლობის აღდგენის მერე.

არსად საქართველოში, გარდა ლანჩხუთისა, სადაც დაიბადა ნოე ჟორდანი, ვერაჯ არაა მიღწეული ამ

ფაქტის საზოგადო დაფასება. ჩვენ უნდა ვამაყობდეთ, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც მართავდა სოციალ-დემოკრატული მთავრობა. მაგრამ პოპულარული ცვლილებები მინც აშკარაა დღევანდელ საქართველოში. ინტერესის გაზრდა პირველი რესპუბლიკის მიმართ, რისი მოწმეიც ჩვენ თანდათან ვხდებით, ალბათ დაკავშირებულია ჩვენი ისტორიის სოციალოლოგიურ ფენომენთან: ჩვენ საუკუნეების განმავლობაში პირველად გვყავს

საქართველოში ახალგაზრდა თაობა, რომელსაც არ უცხოვრია საბჭოთა კავშირის, ან რაიმე სხვა ქვეყნის მრძანებლობის ქვეშ.

ახალი, თავისუფლად დაბადებული და გაზრდილი თაობის მოსვლა ქმნის საქართველოში სრულად ახალ სოციალურ წრეს, რომლის მსოფლმხედველობა არაა დამახინჯებული საბჭოური კომუნიზმის შეხედულებებით, რამაც უხილავი ძაფებით შებოჭა და დამახინჯა მრავალი თაობის ქართველის მსოფლმხედველობა. მათ შორის საბჭოთა სტერეოტიპებმა დამახინჯეს დაფასება იმ დიდი პატრიოტებისა, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის ქაოსში შექმნეს თანამედროვე დასავლური სტილის დემოკრატული ქვეყანა.

თანამედროვე საქართველო, რომელმაც 70-წლიანი ნაძალადევი შეწყვეტის მერე აღიდგინა დამოუკიდებლობა და მოიპოვა ადგილი მსოფლიო ქვეყნებს შორის, მრავალმხრივ არის მეტყველ პირველი რესპუბლიკისა. და დღეს, როცა ჩვენ აღნიშნავთ დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს, უნდა გვინაროდეს რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია უკვე მეთხუთსეულობით, პირველად შუა საუკუნეების მერე. დაე ასე ყოფილიყოს სამარადისოდ.


საქართველოს გაუმარჯოს!

რეჟისორ დანიას

(ქართულად თარგმნილია იოსებ ჟორდანიანის მიერ)

გაქორცილება

ვლადიმერ ჩავლეშვილი – სოფელი მთისპირი



ვლადიმერ ჩავლეშვილი სოფელ მთისპირის მაჟორიტარი უკვე მეორედ გახდა. სოფელმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 289 (57.57%) ხმით აირჩია.

„ჩემი მშობლიური სოფლის წინსვლა, მთისპირელების კეთილდღეობა, პრობლემებზე ხმადასმობა საუბარი და ჩართულობა ამ პრობლემების მოგვარების საქმეში არის ის მიზანი, რომელმაც კიდევ ერთხელ მომცა ძალა, კენჭი მეყარა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში. თქვენს მიერ გამოცხადებული ნდობა ეს არის ის მთავარი ძალა, რომელიც ყოველდღიურ საქმეში მძაბრებს მეტ მოტივაციას, მეტ სტიმულსა და შესაძლებლობებს. მაღლობის გიხდით ჩემო თანასოფელელებო, ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ და ერთად უნდა მივალწიოთ სოფლის კეთილდღეობას.“

მსურს მოკლედ მიმოვიხილო გასული წლები და ის რამდენიმე პროექტი გამოვიყო, რომელიც სოფელში განხორციელდა. აქვე იმ პრობლემებზე ვისაუბრებ, რომელთა მოგვარება უპირველესად მიმანია.

განხორციელდა არც თუ ისე მცირე მასშტაბის პროექტები - გზა და წყალი. სრულდება მთისპირი-ფამფალეთი-ვაკიჯვარი-ოზურგეთის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის მოასფალტება. ოქროსქედისა და მთისპირის მაცხოვრებლებს უკვე უწყებ

რეჟიმში მიეწოდება სასმელი წყალი. თუცა აქვე ვანის ქედისა და უკანავს დასახლებებში წყლის სიტემის სარეაბილიტაციო საპროექტო სამუშაოები ჩასატარებელი.

სოფლის საბავშო ბაღში გარკვეული სახის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, თუმცა მიმანია რომ სოფელი საჭიროებს ახალ კაპიტალურ შენობას, მითუმეტეს რომ ყოველწლიურად იზრდება ნაკადი აღსაზრდელების.

მთავარ ძირითად პრობლემად მიმანია განხორციელება, როგორც ჩემთვის არის ცნობილი მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, თუმცა სოფელი უკვე წლებია ელოდება კონკრეტულ სამუშაოებს განხორციელების კუთხით. პრობლემატურია შიდა გზები. გასულ წლებში რამდენიმე კრიტიკულ მონაკვეთზე დაიგო რკინა ბეტონის გზა, თუმცა ეს საკმარისი არ არის. მალე დაიწყება მოხრეშვითი სამუშაოები სოფლის შიდა უბნებში. შიდა უბნებზე დასამონტაჟებელია გარე განათებაც, რომელიც მხოლოდ ცენტრალურ გზას მოიცავს. ახალგაზრდების მოთხოვნა მინი სტადიონის მოწყობაა, რათა სოფლის ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული აქტივობების ჩატარება, ამ მხრივ მართლაც მოკლებულია სოფელი აღნიშნულ საკითხს.

ახალგაზრდების და ზოგადად თანასოფელელების დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. თუმცა ბოლო პერიოდში კერძო სექტორის განვითარებით სოფელში ამ კუთხით ქმედითი ნაბიჯები იდგმება. მაგალითად მოხერხდა ბეტონიტური თიხის მომპოვებელ კომპანიაში დასაქმება. დასაქმების პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ კონკრეტული ხედვები გააუღერა საგადასახლო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით.

ჩემო მთისპირელებო ვიმედოვნებ, მომდევნო ოთხი წელი იქნება კიდევ უფრო მეტი შესრულებული ვალდებულების, განხორციელებული პროექტის და ჩვენ ერთად მივალწვით სოფლის კეთილდღეობას.“

ვასტანბ ნიჟარაქმ - ვაკიჯვარის ადმინისტრაციული ერთეული



2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, ვაკიჯვარისა და ფამფალეთის მოსახლეობამ ვასტან ნიჟარაქმ 480 (83.62%) ხმით, მეორედ აირჩია.

„ვახლავართ უკვე ორგზის მაჟორიტარი დეპუტატი ჩემი საყვარელი სოფლის. უდიდესი ნდობის შედეგია კვლავ წარმოადგენდე სოფლის არჩევანს წარმომადგენლობით ორგანოში. ხალხის ნდობას გამართლება სჭირდება, ამისთვის კი თავდასოზოვავი შრომა, ჩემი თანასოფელეების ინტერესების დაცვა და მათ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებაა მთავარი.“

საკრებულოში ჩემი საქმიანობის მთავარი ფუნქციაა ხმადასმობა, ყველა შესაბამისი სტრუქტურისა თუ ორგანოს წინაშე ვისაუბრო სოფლის პრობლემებზე, მოვებნო გზები მათი გადაწყვეტის.

სოფელში პრობლემები სხვადასხვაგვარია. გასულ წლებში მოვახერხეთ და დავძლიეთ რიგი საკითხები. მათ შორისაა: ლოკალური წყლის სისტემის მოწყობა, მილხიდების მოწყობა, სასაფლაოსთან დამაკავშირებელი გზის ბეტონით მოწყობა; საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია და ყველაზე მთავარი სრულდება ვაკიჯვარი (ფამფალეთი)- მთისპირის საავ-

ტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გახლავთ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. წყლის სისტემა გამართულია, თუმცა საჭიროა სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. პროექტი წყლის სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით მზად არის და ის ვაკიჯვართან ერთად რამდენიმე სოფელს აერთიანებს. რეაბილიტაციის საჭიროებს ვაკიჯვარი უჩხუბის დამაკავშირებელი ხიდი. სამი ოჯახი, რომელიც აღნიშნული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს, სოფლის ცენტრს მხოლოდ შემოვლითი გზით უკავშირდება. აქვე 50 ოჯახს გააჩნია სასოფლო სამუშაო მიწის ნაკვეთი, არის სასაფლაოც. ხიდის არ არსებობის გამო, თანასოფელეებს უწევს შემოვლითი გზით ნაკვეთებთან, სასაფლაოსთან მისვლა. რეაბილიტაცია ესაჭიროება ვაკიჯვარი-ბახვის დამაკავშირებელ 3 კმ გზის მონაკვეთს. კეთილმოწყობას საჭიროებს სოფლის ცენტრიც. მოგეხსენებათ ვაკიჯვარი კურორტის სტატუსით სარგებლობს და მიზიდველია სოფელია ტურისტული თავლსაზრისითაც. მიმანია, რომ სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა და ზოგადად სოფელში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ტურისტული პოტენციალის განვითარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში.

მე მოკლედ ვისაუბრებ საკითხებზე, რომელიც ძირითადად ინფრასტრუქტურული ხასიათისაა, არის სოციალური მიმართულებითაც სამუშაოები ჩასატარებელი. ვიმედოვნებ, მოდევნო წლები ჩემთვისაც როგორც მაჟორიტარი დეპუტატისთვის და სოფლისთვისაც იქნება უფრო წარმატებული. მე მაქვს საშუალება მაღლობა ვუთხრა ვაკიჯვარისა და ფამფალეთის მოსახლეობას გამოცხადებული ნდობისთვის, თქვენთან ერთად, თქვენ და სოფლის სიყვარული ჩვენ ბევრ რამეს შევძლებთ.“

სტრასბურგშია და საქართველოსკენ უჭირავს თვალი



გართობული, ბავშვური გულწრფელობით ამოთქმული „მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩვენია“ დარჩა ბავშვობაში და ახლა მე ვიცი, რა მინდა. დიახ, სიახლე, პრაქტიკულობა, მიზანდასახულობა, სწორად შერჩეული პროფესია და აღიარება მინდა. აქ მიღწეული წარმატება მაქ მინდა წამადგეს და ჩემს ქვეყანაში მინდა დავდგე მყარად, ჩემი ხალხის გვერდით. მე ვზომობ, ვუძლებ, ვტერი, ვხარობ, ვსწავლობ, მენატრება, ვდარდობ, მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემი გზაა, ჩემი გასაგებია, სწორად ვათვლილია, პერსპექტიულია და მე შევდეგები, ვიბრძობლე, ვისწავლი, დავდგები ჩემი მშობლების წინაშე, ამოუწურავი და უკიდვარო ენერჯის და სიყვარულის მომცემი დედ-მამის წინაშე, ამაყად ჩავხედავ ორივეს თვალებში და ვეტყვი ჩემი ხელმოწერა ავტორგრაფი გახდა“.

იცანით, ალბათ, ანანო ვადაჭკორია – ოზურგეთის პოლიციის გამომძიებლის, ქალბატონი თეა ურუშაძისა და ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დასის მმართველის, ბატონი ირაკლი ვადაჭკორიას პირმშენიერი გოგონა, ვინაც სტრასბურგიდან, ფეისბუქის საშუალებით, დროდარო გვეხმინება სასიხარულო, სასიამოვნო და საამაყო ინფორმაციებით, რომელთაც, თუ კარგად ჩაუკვირდებით, თან გასდევს ნოსტალგიის კვალი.

„დღეს ერთი წელი გავიდა, რაც მე ჩემს ქვეყანაში, რაიონში, ოჯახში და ახლობლების გარემოცვაში არ ვიმყოფები. ვარ შორს, ძალიან შორს, სხვა ქვეყანაში, სხვა გარემოში და, რა თქმა უნდა, სხვა პირობებში. „ენძელა და იას“ ლექსი, კარგად


მომცრო გოგონამ წარჩინებით დაამთავრა ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის რვა კლასი და სწავლის გასაგრძელებლად 2017 წლის 12 მარტს ევროპისაკენ გასწავლა. ვინაც ანანოს ხასიათის სიმტკიცე იცის, იმას ნამდვილად არ უნდა გაუკვირდეს ეს საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება და კარგად გათვლილი არჩევანი. გამიმართლა და კარგ სკოლაში მოხვდიო, ისე ამბობს, თითქოს აქ თავისი სიძლიერე არაფერ შუაშია. როგორც აქ ჩვეოდა, იქაც მალალო აკადემიური მოსწრებით განაგრძობს სწავლას. ადგილობრივიც და ჩასულიც პირდაპული დატოვა, ისე მალე აითვისა ფრანგული ენა და ადათ-წესები. უშუალოდ და კეთილშობილებით გამორჩეულმა იმთავითვე მოიპოვა მეგობრებისა და პედაგოგების დიდი სიყვარული.

ნოსტალგია ვახსენეთ წერილის დასაწყისში, არ გვიკვირს ჩვენების ურისგან მშობლიური ქვეყნისა და ხალხის მონატრებით გამოწვეული სევდა. დადის და სწავლობს სტრასბურგში ახლა ეს პატარა ქალი, რომელსაც მაინც საქართველოსკენ, გურიისკენ უჭირავს თვალი.

წარმატებები ჩვენს ანანოს ევროპაშიც და საქართველოშიც!

თემურ მარგანიშვილი

26 მაისს, საქართველოს ეროვნული გმირი, მერაბ კოსტავა დაიბადა



ალიონი. მერაბ კოსტავა დაიბადა ქობულთში 1939 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. მისი მშობლები ოღლა დემურია და ვანო კოსტავა კულტურული და განათლებული ოჯახებიდან იყვნენ.

მერაბის აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისმა ოჯახის წევრებმა: ბებიაჩემმა კატო ნუცუბიძემ, ცნობილი ადამანი იყო მერაბის ბაბუის ძმა, პედაგოგი იაკობ კოსტავა, რომელიც დიდი გამოხატვად ანტიკომუნისტურ განწყობას. აკობის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი. აკობის ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე მერაბიც. მერაბზე დიდი გულგანა იქონია აკობმა, ისევე როგორც მერაბის მამის ძმამ გრიგოლმა. გრიგოლი ცნობილი მსახიობი და ყოფილი პოლიტპატიმარი იყო, იგი პირველად 1924 წლის აჯანყების დროს დააპატიმრეს, 1945

წელს კი დახვრეტა მოუსაჯეს, თუმცა მალევე განაჩენი შეუცვალეს 10 წლიანი პატიმრობით. 1955 წელს გრიგოლი სამშობლოში დაბრუნდა და გააგრძელა მსახიობობა, მას 90-მდე როლი აქვს განსახიერებული. 1965 წელს სახალხო არტისტის წოდებაც კი მიანიჭეს. ასევე გადასახლებაში იყო მერაბის მამა, ვანო კოსტავაც. იგი 1964 წელს სამშობლოში დაბრუნებული ინსულტით გარდაიცვალა. დედა, ოღლა დემურია კი პედროპოეტში დამპროექტებლად მუშაობდა 1946 წელს მერაბ კოსტავა შეეცანეს თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში. ამ სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი ზვიად გამსახურდიამ.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა ხშირად იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისევე განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი საჯერო ვითარებაში, სოფ. ბორთიში, ავარიისას დაიღუპა.

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ, ლიტერატურულ ესეებს. თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ორი პრემია — დავით აღმაშენებლის და მწერალთა კავშირისა.

დაკრძალულია მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო მარტინისკე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-20

რუბრიკას უძღვება მანანა მამარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



გურიელების სასახლე

საბუთში მოხსენიებული „განძის ყვაური“ თავი ამჟამად გურიის მხარის სინამდვილეში არსად იხსენიება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყოფილ ქვემო გურიაში მახუნციეთის საკრებულოს სოფელ ქოსოფელში გაგრძელებულ ტოპონიმ „ყვაურს“ (სათუხი ადგილი) და ამავე საკრებულოს სოფელ ჭალისძეში დაცული ტოპონიმს- „ყვაური დელეს“ სახელწოდებით.

საბუთში მოხსენიებული სახელწოდება დასახლებული პუნქტისა - „ბზვანი“, დღეისათვის მრავლად შეინიშნება გურიის მხარის ტოპონიმში. ნაბეღლავის საკრებულოს სოფელ თავანტაში დადასტურებულია სახელწოდება გორაკისა - „ბზვანი“, აქვე ჩამდინარე დელეს „ზვანის დელე“ ეწოდება.

შუხუთის საკრებულოს სოფელ ქვემო შუხუთში ჩაუდინება ბზვანის დელე. მახუნციეთის საკრებულოში სოფელ დოხობიევში დადასტურებულია ბზვანის დელის არსებობა, მაგრამ მიუხედავად „ბზვანის“, „ზვანის“, „ბზანიდელის“ თუ „ზვანიდელის“ ესოდენ გაგრძელებული ადგილსახელებისა, როსტომ გურიელის

ატაურის სამებასაც. „გურიის იონე ნათლისმცემლის უდაბნოს მონახულების შემდეგ, მეორე დღეს 21 სექტემბერს, შევედექი ამ კუთხეში მეორე პატრიკეპული საწინამძღვრო მაცხოვრის ეკლესიის დათვალიერებას. იქ გავემზავრე უდაბნოდან ამაღლებებისა და სამების გავლით.

როსტომ გურიელის საბუთში მოხსენიებულ „თუჯის ციხე“ სათანადო წყაროთა სიმცირისა და მხარის საფორტიფიკაციო ნაგებობათა შეუსწავლელი გამო ვერ ვეროებით ჩვენს მიერ ვერ იქნა მიგნებული. შესაძლებელია იგი იყოს აჭის წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად არსებული ვრცელი და ზღუდე მტკიცე ნაციხარი.

„გორის საყდარი“, რომელსაც თანახმად საბუთისა როსტომ გურიელი უძღვნის მგალობლებს, მოხსენიებულია XVI-XVII ს-ში ლახარე ხავთასის მიერ გადაწერილ კურთხევაში, სადაც ვკითხულობთ:

„წმინდაო გიორგი: სადგრისაო, სუჯუნისაო, ხონისაო, ნიგოზდისაო, ლანჩხუთისაო, ჭანათისაო, გორისაო, მთავარმოწამისაო, გულიანისაო, ბიჯინისაო, ზე(ი)ნდრისაო,

ჭაბუკ-ჯვრისაო, წითელმთისაო, გამორჩინებულისაო, მრავალძაღლისაო, ბაილეთისაო,

კახურისაო, ზღუდისაო, ვაკი-ჯვრისაო, დუბაზუისაო, ზედობნისაო, ხრიალეთისაო,

გოგორეთისაო, კონჭკათისაო, ამაღლებისაო, ციხისაო,

ჯიხანჯურისაო, ქაშუეთისაო, ფოთისაო, გორისაო, შუშანეთისაო, გუარამეთისაო,

ხუცუბნისაო, ახალშენისაო, გურისაო.

წინამდებარე საბუთში ორგზის

მოხსენებული „გორის წმინდა გიორგის საყდარი“ შესაძლებელია იყოს ოზურგეთის მახლობლად მდებარე ბუჯუის მარცხენა სანაპიროზე XIV საუკუნეში კახაბერ და თელადა გურიელების მიერ აგებული ექაღის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც არაპირდაპირი ცნობით ვერ ვკითხვ 1630 წელს მოინახულა და თავის რელიციონში მოიხსენიება ოზურგეთში, მაღაქია გურიელის სასახლის კარზე მყოფი ცნობილი კათოლიკე მისიონერმა ჯოვანი და ლუკამ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემო აღნიშნულის პარალელურად გამორიცხულად სრულებითაც არ მიგვაჩნია „გორის საყდრის“ ოზურგეთის განაპირა თემში ზვანის მიდამოებში არსებობაც. მხედველობაში გვაქვს ადგილი ნაკვეთა, სადაც ახლაც შეინიშნება საინტერესო ნაშთი ძველი ეკლესიისა, რომლის შესახებაც 1892 წლის 23 სექტემბერს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ოზურგეთის მკვიდრი „ვინმე მეთვალყურე“ იუწყებოდა, ერთ ძლიერ დაბურულ ტყეში, ნადირობის დროს მე წავაწყდი ძველთა-ძველექლესიას, რომელიც იმყოფება ქ. ოზურგეთიდან სამხრეთ ჩრდილოეთით, 15 ვერსის მანძილზე, სახელდობრ ნაკვეთაზე. ეკლესია არის ქვითკირით ნაშენი, გუმბათიანი, გარედან სულ სურთით შეფოთილი იყო, რომ ფანჯრები ძლივს ეტყობა. შიგ მუდამ ბნელა, ცალკე მაღალ და სქელ ჯაგებს აქვს დაჩრდილული და ცალკე სუროს. ცოტადღენი სინათლის შემწეობით როგორც იყო გაგებდე შიგ შესვლა და თვალთ წარმომოდიდა მრავალი ქართული ხუცური წარწერა. ჩემდა საუბედუროდ ხუცური არ ვიცოდი და



მავნარი

მოწყენილი შევეყურედი სხვადასხვაგვარ მხატვრობას. ეს ტაძარი მგლებს, ტურებს და ველურ ღორებს გარდაუქმნიათ თავიანთ ბინად. ჩვენი ფიქრით, ამ ძველ ეკლესიას მნიშვნელობა ექნება ჩვენის ისტორიისთვის და ამიტომ იმედი გვაქვს ჩვენი არქეოლოგები უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ საქმეს.

სამწუხაროდ არქეოლოგებს ყურადღებიდან გამორჩენილია „ნაკვეთაზე“ მდგარი ძველი საყდარი და ფაშთა მდინარეებს წარუხოცავს იგი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთხსენებული ცნობა ყურადსაღებია, როგორც გურიის მატერიალური კულტურის, ასევე ძველი ოზურგეთის გარდასული ყოფისა და გორის საყდრის ადგილმდებარეობის განსაზღვრების თვალსაზრისით.

ამასთან როსტომ I გურიელის წინამდებარე საბუთში ოზურგეთის გარემომცველ ადგილთა დადგენის მიზნის ცხოველ ინტერეს იწვევს სახელწოდება საფორტიფიკაციო ნაგებობისა - „თუჯის ციხე“, რომლის ნაშტების ძიება, მიგნება და წარმოჩენა მნიშვნელოვანად გაადვილებს ძველი ოზურგეთის სამადას და თავდაცვითი ზღუდეთა უკეთ შესწავლის შესაძლებლობას, თავისი ციხე ზღმდებარე აღმოსაჩენია.

მეგრე გოგუაძე

ისტორიის გადასახედიდან, წინაპართა ნაკვალევით - დამოუკიდებლობიდან დამოუკიდებლობამდე



საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მოყოლებული ეპოქათა ცვლა და დროთა თანმდევი პოლიტიკური რეალობანი. უმძიმესი ეპიზოდები ერის ცხოვრებიდან, როცა იდგა უკმაყოფინისა და არყოფნისა... და ეპიზოდები, რომლებიც სიხარულის ემოციებით ტვირთავდა და ტვირთავს გულს და გონებას. მაგნიტის დღეს რუხი ფერებიც შეიძლება ედოს ფონად მსგავს მოსაზრებებს, მაგრამ რა არის გონება ემოციის გარეშე და გული ხომ მით უმეტეს...

ისევ ისტორიის გადასახედიდან - დრო, ზუსტად საუკუნის მიღმერი... უდიდესი მოღონა ჩვენი ქვეყნისა

1918 წლის 26 მაისი. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მთავრობის დარბაზში, ეროვნულმა საბჭომ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი. მთავრობის უმაღლესი ორგანო - პარლამენტი (დამფუძნებელი კრება, რომელმაც შეცვალა ეროვნული საბჭო.) და აღმასრულებელი ორგანო - მინისტრთა საბჭო (მთავრობა).

იმჟამინდელი პრესის მონაცემებით, პოლიტიკურ სივრცეში მაშინ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, შემდეგ რიგითობით მოდიოდნენ სოციალ-ფედერალისტები; ნაციონალ-დემოკრატები; სოციალ-რევოლუციონერები; რადიკალ-დემოკრატები. თუმცა ამჟერად არ ვაპირებთ პარტიათა ისტორიებზე გავამახვილოთ ყურადღება. ადამიანთა როლზე ვისაუბრებთ კონკრეტულ მოვლენებთან მიმართებით და იღბალზეც ალბათ, მოვლენებს რომ აკავშირებს პიროვნებებთან.

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და პიროვნებები ერთი დიდი ოჯახიდან.



ვსტუმრობთ ნინიძეთა საგვარეულო კუთხეს ასკანაში და მასპინძლობას ლევან ნინიძის ოჯახი გვიწვევს. მიზეზიც გვაქვს საამისოდ, თუმცა ეს ცოტა მოგვიანებით.

ნინიძეთა ხუთი ძმის მოკლე ისტორიიდან:

თედორე, ყარამანი მიხაკო, კირილე და მოსე.

ხუთი ძმიდან ორი ძმა - ყარამანი და კირილე ნინიძეები თავიდანვე ჩართულან პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ყარამანი მენშევიკი იყო. მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში ნათობაკომიტეტის მინისტრი. დახვრიტეს 1937 წელს.

კირილე ნინიძე - ეროვნული

საბჭოს წევრი, დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელისმომწერი, იმჟამინდელი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. იგი პროფესიით იურისტი გახლდათ.

1921 წლის მარტში დაითხოვეს დამფუძნებელთა კრება, საქართველოს მთავრობა ჯერ ბათუმს, ხოლო შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, კირილემ თავისი პროფესიით გააგრძელა მუშაობა. როცა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია დააპატიმრეს, კირილე ყოფილა ამბროსი ხელაიას ადვოკატი, რაც მაშინ უდიდესი გმირობა იყო.

ურთიერთობა დაძაბულა სამხატვროში ქართველთა და ოსთა შორის. მომრიგებელი ჯგუფის ხელმძღვანელობა კირილე ნინიძისთვის დაუვალდა. ოსებს ალყა შემოურტყამს დედაქალაქიდან ჩასული ჯგუფისთვის. ოსთა ატამანს უცნია კირილე - შენ მე სიცოცხლე მარჯე შენის ადვოკატობით. ახლა მე გჩუქნით. ყველა უვნებლად გაუშვიათ.

კირილე ნინიძეც, როგორც სოციალ-დემოკრატი 1937-ში დახვრიტეს. ამბობენ მშობლიურ ოზურგეთში, ჭადრების ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე.



შურა ანდლულაძე, ჰაზბის მარხნის დირექტორი, ბიორგი ნინიძე, (თედო და ლევან ნინიძის მამა)

საქართველოს ისტორიიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, სხვა ხელისმომწერთა გვერდით კი მისი ხელწერაც ამშვენებს.

მოსე ნინიძეს, 1903 წელს გაუხსნია პირველი ბიბლიოთეკა ასკანაში.

მიხაკო ნინიძეც სოფელში დარჩენილა. მეურნე კაცი ყოფილა, თავისებური ადლოტი და რიგაინობით.

უფროსი ძმის, თედორე ნინიძის სოფელში, შინა მეურნეობისთვის

მიუყვია ხელი. პირველი კულტივატორი ცხენით მას შემოუყვანია სოფელში. მუშაობდა ფოთის ნავსადგურში. მთისპირელ (ციხისუბნელ) ალექსანდრა სიამაშვილზე დაქორწინებულა და ოჯახიც კარგად გაუმართავს, ადრევე გაუკულაკებიათ. ხუთი შვილი აღიზარდა თედორე ნინიძის ოჯახში. ილია, რაფიელი, გიორგი, თინა, ვენერა. ხუთივე უმაღლესი განათლებით. მუდმივად სდევდა შიმის აჩრდილი ოჯახს. 1947 წელს გარდაცვლილა თედორე.

რეპრესირებული ძმების პატრონს, და თავად გაკულაკებულს, ბეერი მცდლობა დასჭირვებია ოჯახის გადასარჩენად. საამისო ბევრ გადმოცემულ ფაქტს იხსენებს დიდი დედა, 89 წლის ქნი თალიკო მახარაძე-ნინიძისა. მშობლიური კერის გამართვა გიორგი ნინიძეს რეგია. 1948 წელს გამდარა მათი ოჯახის რძალი ქნი თალიკო. რომელიც ახლაც მხნედ გამოიყურება და მასპინძლობის უდიდეს ტრადიციას, გასაოცარ იუმორსაც უზავებს დროდადრო. როგორც ოჯახში ამბობენ, შიდა მეურნეობასაც ყურადღებით ადევნებს თვალყურს და გამოცდილებას ხალისით უზიარებს ახალგაზრდებს.


გიორგი ნინიძისა და თალიკო მახარაძის ოჯახში ორი შვილი აღიზარდა. თედო და ლევან

ბიოგრაფიული შტრისები თედო ნინიძის ცხოვრებიდან.

ასკანის საშუალო სკოლა დაამთავრა თედომ და იმავე წელს უმაღლესი შეფასებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

თავიდანვე გამორჩეული იყო თედო - იხსენებს დედა და გვიყვება უფროსი შვილის ბავშვობაზე. „თუ ლევანი უფრო გახსნილი და მხიარული იყო, თედო პირიქით, დინჯი და სერიოზული, განსაკუთრებულად სწავლობდა სკოლაში, სტუდენტობისას“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს



თედო ნინიძე



ლევან ნინიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, შემდეგ ასპირანტურაში. პარალელურად დაამთავრა გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, დაიცვა ხარისხი სამოქალაქო სამართალში.

ოუსტიციის მინისტრის მოადგილე, შურნალის „სამართალი“ მთავარი რედაქტორი; უზენაესი საბჭოს დეპუტატი; სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე; გენერალური პროკურორი; ოუსტიციის მინისტრი (არასრული ჩამონათვალი მისი ბიოგრაფიული ფურცლებიდან).

მუშაობდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავებაში, არის არაერთი ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. პროფესორი. ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჰყავს მეღლე და ერთი შვილი.

თავად პიროვნებები ქმნიან საკუთარ ავტორიტეტს.

ეროვნული მოძრაობის წლებში, როცა განსაკუთრებული აგრესია იყო მიმართული სამთავრობო, საბჭოური წყობის მიმართ, თედო ნინიძე დეპუტატობის კანდიდატი იყო სამთავრობო პარტიიდან. ოზურგეთში, შეხვედრაზე ჩამოსულ აკაკი ბაქრაძეს დარბაზიდან დაუსვენს კითხვა - რა აზრის იყო თედო ნინიძის დეპუტატად არჩევაზე. აკაკი ბაქრაძის პასუხი - მე მივესალმები თედო ნინიძის ყოფნას საქართველოს მთავრობაში.

აკაკი კარგად იცნობდა თედოს და იცოდა მისი პიროვნული თვისებებისა და შესაძლებლობების ფასი.

ეპოქათა ცვლაში ყოველთვის ხდება მოვლენათა შეფასება-გადაფასება.

არის ფასდაუღებელი მოვლენებიც ერის ისტორიაში. არიან პიროვნებები, რომელთა ბიოგრაფიები ლამაზ ფონად მოჰყვებიან მოვლენებს.

ნინო ნიკოლაიშვილი.

წინაპართა ნაკვალევზე ვახსენით ზემოთ...

1990 წლის 14 ნოემბრის სესიამ, გააუქმა სახელწოდება - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ქვეყანას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდა. 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი იქნა მიღებული, ხელმოწერილი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრების მიერ.

თავდაპირველი თითქმის საწმლიანი დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობის აღდგენა 73 წლის შემდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ აქტზე ერთ-ერთი ხელისმომწერი ასკანელი კირილე ნინიძე გახლდათ. და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელისმომწერთა შორის, შვიდი ათეული წლის შემდეგ, პატივი ერგო კირილეს ძმის-შვილიშვილს, თედო ნინიძეს.


უბრალო დამთხვევად როგორ ჩავთვალოთ ყოველივე-გენეტიკური კოდის მძლავრობას უფრო მოჰგავს და წინაპართა ნაკვალევის მადლ-მოსილებას.



ანსამბლი „შვილკაცა“

ნომ რამიშვილი - საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი

გაგრილებილია. დასაწყისი იხ. ალიონი № 20



ეროვნულ-დემოკრატიკული გერონტი ქიქოძის შეფასებით, „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი იყო. ეს გამხდარი, ფერმკრთალი მამაკაცი არავის უნახავს გაცინებული. მისი ხელის ენერგიული მოძრაობა, ლაკონური მხანგრძობი სტილი და პირქუში სახის გამოხატულება მოწმობდნენ, რომ ის დიქტატორად იყო გაჩენილი. მან თბილისი გაწმინდა სომეხი ბურჟუაზიის უკანასკნელი ნაშთებისგან, მკაცრად ჩააქრო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აჯანყება და სიკვდილით დასაჯა დაკანონებინა დამფუძნებელი კრებას, უცვლელია, რამიშვილი სასტიკად გაუსწორებოდა ქართველ ბოლშევიკებსაც, რომ ქორდაიას არ შეეკავებინა და საერთოდ, საქართველოს მთავრობა იძულებული არ გამხდარიყო ხელშეკრულება დაელო მოსკოვის მთავრობასთან და ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნებისათვის (გ.ქიქოძე „თანამედროვის ჩანაწერები“, „მნათობი“, 1988 წ. გვ. 8).

ქაქუცა ჩილოყაშვილი ნოე რამიშვილის შესახებ წერდა: „ნოე ჟორდანიას ადგილზე ნოე რამიშვილი რომ ყოფილიყო, 1921 წელს ჩვენ რუსებს დაგამარცხებდით, ის ისეთი ძლიერი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავსაც შესწირავდა და თავის შვილებსაც (ჟურნალი „ისტორიანი“ 5 2013 წ.).

ნოე რამიშვილის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ანტიბოლშევიკურ საქმიანობასთან, ამიტომაც მას განსაკუთრებით აღინიშნებდა ნოე ჟორდანიას ჰუმანური დამოკიდებულება ბოლშევიკებისადმი.

ზემოთ მიყვანილის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ საარქივო მასალები, რომელიც დაცულია ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში საქმე „ოზურგეთის მაზრის თავმჯდომარეს, გიორგი მაცნობის მინისტრისათვის მოსასწავლად მოყვანილია თუ არა სისრულეში სამხედრო საგანგებო სასამართლოს დადგენილება, სიკვდილით დასჯის შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარია

27 ნოემბერი 1919 წ. ქ. თბილისი“.

„სამხარეთი“

თბილისის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის. ბ-ნ ნოე ჟორდანიას ოზურგეთიდან

გადამიწვევებს სიკვდილით დასჯა უფალმა სუდიემმა თქვენი გამოცხადებული კანონის მიერ. გიორგი, არავითარი დანაშაული ვარ, კერძო ინტერესებისთვის ვიღებები, რასაც დამიბტვიცებს ჩემი საზოგადოება.

მიხონებული ფილიონ ვოგუაძე 22 /XI- 1919 წ.“

„მთავრობის თავმჯდომარეს ბატონო ნოე ჟორდანიას

15/XII-1919 წ.

თბილისიდან „გებდავთ ვითხრათ ერთი გამოუთქმელი მადლობა, რომ შეიბრალეთ ჩემი უმცროსი ბიძაშვილი და სიცოცხლე აჩუქეთ, რომელიც გააბრწყინა ხალხის მტრებმა და ქვეყნის წინაშე დანაშაული ჩაადგინა.

შუხუთის მცხოვრები კლიმენტი იშაიშვილი“.

„მთავრობის თავმჯდომარეს ბატონო ნოე ჟორდანიას

გებდავთ ვითხრათ გამოუთქმელი მადლობა, რომ შეიბრალეთ ჩემი უმცროსი ბიძა და სიცოცხლე აჩუქეთ, რომელიც გააბრწყინა ხალხის მტრებმა და ქვეყნის წინაშე დანაშაული ჩაადგინა.

შუხუთის მცხოვრები შალვა იშაიშვილი“.

„ჩონატაური, მრამთი, ისინი რომ რამიშვილს

დექემ მთელი მას შემდეგ, რაც შეამოხეთა ბედი გადაწყვეტილი იყო. მინისტრი რამიშვილი“.

1918 წლის 23 ივნისს რამიშვილი სრულიდ მოულოდნელად „გადადგა“, რა მოხდა სინამდვილეში, კონკრეტული პასუხი არავინ იცის.

ნოე რამიშვილის ვაჟის აკაკი რამიშვილის ცნობით, 1918 წლის * ივნისის წითელი გვარდიის გენერალური შტაბის ცნობის ნოე ჟორდანიამ შესთავაზა შეიარაღებული ჯარი მთავრობის განკარგულებაში გადასულიყო. ვალიკო ჯუღელმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას, მან განაცხადა, რომ წითელი გვარდია მხოლოდ ისეთ მთავრობას გადასცემს ძალაუფლებას, რომლის გვერდით მისთვის ცნობილი იქნება და ნოე ჟორდანიას აუცილებლად მთავრობის წევრი უნდა იყოსო. ეს წინადადება მიიღეს. მორე დღეს ჯუღელმა ახალი რეზოლუცია დაამტკიცა: „ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარის დანიშნვის შესახებ“. აღნიშნულის შესახებ გადმოგვცემენ, რომ ადგილი ჰქონდა სამთავრობო გადატრიალებას. გენერალ კვიციანი თქმით: „ვალიკო ჯუღელი რამდენჯერმე შემოვივარდა მთავრობის სხდომაზე ყვირილით, გვარდია არავითარ მთავრობას არ დაემორჩილება თუ მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას არ იქნება“. არადა, საკმარისი იქნებოდა ნოე რამიშვილს ჩემთვის ეთქვა და მორე დღესვე მივართმევი გვარდიის გაბარულ შტაბს... გვარდია ამით დაიშლებოდა, მთავრობის გადატრიალებას მამნი ვერავინ შეძლებდა, სულ იმას ვფიქრობდრატომ არ მოხუცა ეს ნოე რამიშვილი? მისივე თქმით, რამიშვილი მამნივე უნდა გამოსულიყო მენშევიკური პარტიიდან, გამიჯვრებოდა ყველა პარტიას და აერჩია წმინდა ეროვნული ხაზი, მამნი მთელი

ქართული ერი, ჯარი და ჩვენი ოფიცრები მის ირგვლივ დაირაზმებოდნენ, თავისი პარტიული იდეალების გამო, რაც გენერალს დიდ შეკლმოდ მიჰქნდა“ (თამარ სიღამონიძე, „ისტორიანი“, 5 2013 წ.).

ნოე რამიშვილსა და ნოე ჟორდანიას შორის მორე სერიოზული კომფლიქტის მიზეზი კი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება იყო. მისი ტესტირება განხორციელდა ნოე ჟორდანიას ინიციატივით და საგარეო საქმეთა მინისტრ ვეგენი გვეგვიკორის დახმარებით (რომელსაც შემდეგ მთავრობის სხვა წევრებთან უღიარებია, რომ ეს მან თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ გააკეთა).

როგორც ჩანს, ჟორდანიას, მართლაც დიდ იმედებს ამყარებდა ამ ხელშეკრულებაზე, ის სჭირდებოდა, რათა სერაიმორის საზოგადოებას ეღიარებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რაც არ მოხდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს აღიარებამდე. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ხელშეკრულებას უარყოფითად აფასებდა, მიჰქნდა, რომ საბჭოთა რუსეთს იგი ცალმხრივ უპირატესობას ანიჭებდა, განსაკუთრებით აღუვებდა საქართველოს კომპარტიის ლეგალიზაციას და პატიმრობიდან ბოლშევიკ დანაშაულთა განთავისუფლებას. რამიშვილის აზრით, მართალია, საქართველოს კომუნისტური პარტია ძალიან სუსტია, მაგრამ ასეთი სუსტი პარტია, როგორც მას ასეთი ძლიერი მხარდამჭერი ჰყავს, როგორც რუსეთში, საქართველოს რესპუბლიკისათვის წესის ასაგებად საკმარისი იქნება.

1920 წლის 7 მაისის „სამშვიდობო ხელშეკრულება“ დაილო იხე, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობის დანარჩენ წევრებისა და მათ შორის ნოე რამიშვილისათვისაც ბოლო დრომდე იგი საიდუმლოდ რჩებოდა. ნოე რამიშვილს ამის შესახებ პრესაში მისი გამოქვეყნების შემდეგ გაუგია, რასაც მისი გაცეცხლება გამოუწვევია. ნოე რამიშვილის დისმედიაციის გოლა ხვედელიძის გადმოცემით: „გაცეცხლებული ნოე რამიშვილი, პირდაპირ მიეჭრა ნოე ჟორდანიას კაბინეტში (იქ მას დახვედრია სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი და გრიგოლ ლორთქიფანიძე) ნოე რამიშვილს თავი ვერ შეკავებდა და პირდაპირ მიუხდია: ეს რა გაგიკეთებია, საქართველო დაგიღუპავს, ელოდე, ორსამ თვეში საქართველოს გასაბჭოებასო, მერე როგორ დაეთანხმე რუსეთის საეკლერიო 400 თანამშრომლის მიღებას. საქართველო 400 გამოცდილ ჯაშუშს და დიფერსანტს ლუკმად არ გყოფაო. გაფიქრებული ჟორდანიას თურმე ხმაძიოვლებივ იმეხნდა გაცეცხლებული ნოე რამიშვილის სიტყვებსო. ძლიერ გამოუყვანიათ რამიშვილი ჟორდანიას კაბინეტიდან, მაგრამ გამოსვლის წინ მაღდაზე მოუსწრა დაღება რამდენიმე სიტყვით წინასწარ შეუვნილი განცხადებისა გადადგომის შესახებ“ (თამარ სიღამონიძე „ისტორიანი“ 5 2013 წ. გვ. 5). თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში ნოე რამიშვილს საფრანგეთში წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახთან ერთად, მაგრამ სახლში მისულს უკან ფეხდაფეხ მიჰყვილიან სილიბისტრო ჯიბლაძენო ხომერიკი და გრიგოლ ლორთქიფანიძე და ნოე ჟორდანიას დავალებით დაუთანხმებიათ რამიშვილი გადადგომაზე უარი ეთქვა.

ნოე რამიშვილის შიში, რომ „სამშვიდობო ხელშეკრულება“ საქართველოსათვის დამოუკიდებელი იქნებოდა, გამართლდა, სულ მალე 1921 წლის თებერვალში რუსეთმა განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობაში რამდენიმე მინისტრის თანამდებობას ფლობდა, ამიტომ მას „გენერალური მინისტრი“ შეარქვეს (თური სისარულიძე). მინისტრების პოსტების შეთავაზების ასეთი სიმრავლე საქმის საჭიროებით იყო განპირობებული და არა რამე პოლიტიკური ამბიციებით. 1918 წლის შემოდგომაზე აუცილებელი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის ერთხანს საგარეო საქმეთა უწყების გამგებლობაც შეეთავსებინა. 1918-1921 წლებში საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა რამდენიმე პოლიტიკურ მოღვაწეს ეკავა (ა. ჩხენკელი, ე. გვეგვიკორი, კ. გვარჯალაძე, ნ. რამიშვილი).

1919 წელს კიდევ უფრო გაიზარდა იმ შეთავსებათა რიცხვი, რომელიც ნოე რამიშვილს ეკავა, ეს გახლდათ განათლების და სამხედრო სადინისტროები.

1919 წლის 21 მარტს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება განათლების მინისტრად ამტკიცებს იმავე, 21 მარტს „გენერალური მინისტრი“ სამხედრო მინისტრად დაამტკიცა (მან შეკვალა გრიგოლ გიორგაძე) **გურიანში**

1920 წელს, თებერვალში გურიას ეწვია დამოუკიდებელი საქართველოს „გენერალური მინისტრი“ ნოე რამიშვილი, ახლდნენ ადმინისტრაციის ინსპექტორი გვეგვიკორი და სკოლების მთავარი ინსპექტორი მეტრეველი. დღევანდელი თბილისიდან მატარებლით გაემგზავრა ნატანგაძე. აქ დახვდა ოზურგეთის ერობის თავმჯდომარე სიო ჭანტურიაშვილი და მაზრის პოლიციის უფროსი საბატო ყარაულის თანხლებით. ნატანგაძე ოზურგეთისაკენ გამოემგზავრენ, ქალაქის თავ მურვანიძესთან ერთად შეხვედნენ სახლში გვარდიისა და ჯარის ნაწილებს. ოზურგეთში შეხვდა სამხრო ერობის მესვეურებს და ზოგიერთ წარმომადგენლებს.

14 თებერვალს, ზემო გურიას გაემგზავრა, გზად დაეხვუსა და ნავომარში შეიარა. დეგზუს სკოლაში სტუმრობას იგონებს ცნობილი ენათმეცნიერი, პროფესორი ალექსანდრე ლლონტი: „ერთხელ, როცა მერეგლასელი მასწავლებლებს ბეჯითად ვუსმენდი, კარი გაიღო და უცხო კაცი შემოვიდა, სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, მასწავლებლებს ხელი ჩამოართვა და ბოლო მერხზე მოთავსდა, გაკვირებული ჩათვალა, სტუმარმა ისევ ჩამოართვა ხელი ჰედავგს, გაუღიმა და წავიდა, ბავშვებს იგი ეტლამდე მიაცილეს“ (ალ. ლლონტი „გურიული ესკიზები“ გვ. 49)

ნავომარში მიტინგზე სიტყვა წართმევა და შემდეგ სოფელ ოცნანს (ხიდისთავი) ეწვია. ამ დღეს სოფელში დარჩნენ. 15 თებერვალს დილით რამიშვილი ხიდისთავიდან ჩონატაურში გაემართა. დაბა მაღალი სტუმრის შესახებ ვერაფერი იცოდა იყო მორთული. სუფის ხიდთან მას გვარდიის რაზმი შეეგება, მინისტრი ჩონატაურში მოხსენებთ წარუღა ხალხს. 16 თებერვალს შუა სურებს გაემგზავრა. 17 თებერვალს, დილით მინისტრი ოზურგეთს დაბრუნდა და მაზრის თემთა წარმომადგენლობის ყრილობას დაესწრო. 18 თებერვალს ქალაქის დაწესებულებათა შემოვლას შეუღდა. ეწვია: ჯარის, გვარდიის ერობის ახალგაზნდულ საავადმყოფოს, გინაზიას, სასწრაფოებს და ა.შ. ნაშუადღევს სამხრო ერობაში მიიღო მოხელეები, შემდეგ შემოქმედში გაემგზავრა. 19 თებერვალს დილით დაბა სუფას (ძველი ონავირა) ეწვია. სიტყვა წართმევა მიტინგზე და იქედან ლანჩხუთში წავიდა, იქაც მოხსენებით გამოვიდა და თავისი ახალი თბილისის გაემგზავრა“ (თური სისარულიძე).

1920 წლის ივლისის დამდეგიდან საქართველოს მთავრობის წინაშე დაისვა სამხრეთ დასავლეთ საქართველოში

ქართული ადმინისტრაციის შემოღება და ეროვნული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ენერგიული განხორციელება. ამისთვის შეიქმნა ბათუმის ოლქის საგანგებო კომისიის ინსტიტუტი (გენერალ-გუბერნატორის უფლებით). ამ და სხვა საქმეთა მოწესრიგებაში, ოლქის ხელმძღვანელობის დასახმარებლად ბათუმს გაემგზავრა ცენტრალური ხელისუფლების მუშაკები, საჭირო გახდა ნოე რამიშვილის ოლქში ჩასვლა, რათა საკუთარი თვლით ეხილა, როგორ ხორციელდებოდა მხარის გარდაქმნის მისერივემმა. მინისტრმა ვერ ოლქის ადმინისტრაციული დაწესებულებები იხილა, ხოლო შემდეგ საქალაქო საკრებულოს დარბაზში გამოვიდა მოხსენებით.

სალამის ვანში რესტორან „საფრანგეთში“ გაუმართავი. მოსასვენებლად სალამის ქაქუცა ჩილოყაშვილს ბინაზე მოუწვევია. სტუმარი რას იფიქრებდა, რომ ჩილოყაშვილს თავისი საწოლის დათმობა მოუხდებოდა. მინისტრი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა და იუმორით მიუმართავს „როგორ შენ თუ ადამიანი მე საწოლს მითმობ, შენ კი დივანზე უნდა მოისვენო“? მასამბიძის ამხე პასუხის გაცემა არ განდებია და მიუგია: „მე მხედარი ვარ და ყველაზე შემძლია მოვისვენო“. (თური სისარულიძე).

ნოე რამიშვილი ჩონატაურში 1921 წლის მარტის დამდეგს ჩასულა. მდგომარეობა სრულიად უწყვეტი იყო, მაგრამ „რკინის მინისტრი“ მინც არ კარგავდა მხნობას და დამხდურებსაც იმდენი სიტყვით მიმართა. ხალხი შორეული სოფლებიდან მოვიდნენ.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1921 წლის 17 მარტს ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სენ-კლუში, შემდეგ კი - ლევილის მამულში. მანამდე კი ემიგრირებულმა მთავრობამ სტამბოლში (კონსტანტინოპოლი) 1921 წლის 27 მარტს მოწვევას შეადგინეს, რომელსაც დასავლეთ ევროპის ლიდერების ერთმა ჯგუფმა „ისტორიული დოკუმენტი“ უწოდეს. ეს მოწოდება დაეგზავნა ყველა სოციალისტურ პარტიასა და მუშათა ორგანიზაციებს. დოკუმენტი ამხელდა და ამთარახებდა პირველი ქართული ეროვნული რესპუბლიკის მტრებს. მოწოდებას ხელს აწერდა: ნოე ჟორდანიას - მთავრობის თავმჯდომარე, კარლო ჩხეიძე - დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ვეგენი გვეგვიკორი - საგარეო საქმეთა მინისტრი, ნოე რამიშვილი - შინაგან საქმეთა მინისტრი.

ნოე რამიშვილს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. იგი იყო 1924 წლის ავგისტოს აჯანყების აქტიური ორგანიზატორი. აქტიურად იყო ჩართული პოლონეთის მიერ წამოწყებულ ანტისაბჭოთა პროპაგანდულ მოძრაობაში (პროპაგანდაში - საბჭოთა კავშირიდან არარუსი ლტოლვილების მოძრაობა).

ნოე რამიშვილი 1930 წლის 7 დეკემბერს ქართველმა ემიგრანტმა პარმენ ჭანუყვაძემ ჩეკის დავალებით მოკლა პარიზში დასაფლავდეს ბანიოს სასაფლაოზე, მოგვიანებით გადასაფლავდეს ლევილის ქართველთა საფანეში. მომავლის საქეა ლევილში დარჩება თუ შეიცვლის სახელადო სამკვიდროს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ერთგული მებრთოლი და მოსყვარული ერისკაცი.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სახუჩუქო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

დაუპიწყარი და უთამბაჭლავი ემოციებით ბულგარეთიდან

ნოვარ ნიკოლაიშვილი



სატირისა და ოუმორის მექედ აღიარებულ ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში (რომელიც ოუმორისა და სატირის ცენტრულ დედაქალაქადაა აღიარებული და რომელიც წლეულს მონოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობდა), ნამდვილი ფურორი მოახდინა ოზურგეთის თეატრის ცნობილი მსახიობის ბელა კიკვაძის მონო-სპექტაკლის მიხედვით განხორციელებულმა დადგამმა

„ნეტავი დამბადებელი“ (ვაჟა-ფშაველას მოტივებზე), რომლის დამდგმელი რეჟისორიც დრამატურგი ვასო ჩიგოვიძეა. თავიდანვე საზგასმით უნდა ითქვას, რომ ბულგარეთის ამ განთქმულ ქალაქს არაერთხელ უმასპინძლია პრესტიჟული საერთაშორისო ფესტივალისთვის, ხოლო მონოპიესების საერთაშორისო კონკურსში ოზურგეთის თეატრი პირველად მონაწილეობდა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ოზურგეთელთა დებულები ამ რანგში ერთობ წარმატებული გამოდგა, ხოლო ბელა კიკვაძემ სპექტაკლური პრიზი და ფესტივალის ორგანიზატორთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა...
კომპეტენტური ჟურნალის მიუკერძოებელი შეფასებით, ოზურგეთელთა დადგამმა სოციალური თემის ანგაჟირებით გამოირჩილა.
აღნიშნულ ფესტივალში უცხოეთის 5 ქვეყანა (კრძიხ, ბულგარეთი, რუმინეთი,

აშშ, რუსეთი და საქართველო მონაწილეობდა), სადაც 13 სპექტაკლი იყო მიწვეული. დადგამს გაუკეთდა ტექსტუალური ანოტაცია ("ნმელი წიფელის", "წუნა და წრუწუნას", "კომბლესა" და სხვა ანალოგიური ქართული ზღაპრების მოტივებზე), რომელიც წინასწარ წაუკითხეს კეთილსაზოვან ნორჩებს.
აქ ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, გაბროვოს მთავარი თეატრი „ტეატრანო“ აღნიშნული ფესტივალის ერთპიროვნული ორგანიზატორიკაცა.
ბელა კიკვაძის თქმით, მას ამ საგასტროლო ტურნის პერიოდში ქართველ მსახიობებს ენობრივი ბარიერი არ შეუქმნათ, - რასაც მსახიობი თეატრის ყველასათვის გასაგები საურთიერთობის უნიკალურობით ხსნის.
რეჟისორ ვასო ჩიგოვიძის განმარტებით, უახლოეს მომავალში ბულგარეთისა და ოზურგეთის თეატრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შემო-

რანდუმის გაფორმება იგეგმება. ოზურგეთელთა საგასტროლო ტურნის არაერთგვაროვანი გამოხმაურება და ვეროვანი აღიარება მოჰყვა არა მხოლოდ ბულგარეთში, არამედ ფესტივალის მონაწილე სხვა ქვეყნების თეატრალურ საზოგადოებათა შორისაც.
წლეულსვე, ნოდარ ღუმბაძის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე იგეგმება ბულგარული თეატრალური საზოგადოების დელეგაციის საპასუხო ვიზიტი საქართველოში.
ოზურგეთელ დრამატურგთა თქმით, გაბროვოს ფესტივალი იქნება ჩვენებური ფესტივალის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბულგარეთისა და აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო საქართველოში ჩვენ ვიქნებით მათი ფესტივალის წარგზავნილები.
ნოდარ ღუმბაძის ფესტივალისთვის კანდიდატურას ისევ გაბროვოში შეარჩევნ...

ნიკოლო მაკიაველის „მანდრაგორა“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე



ალიონი. 23 მაისს, ალ. წუწუწუნავას სახელობის ოზურგეთის დრამატულმა თეატრმა ახალგაზრდა რეჟისორის მამუკა ბაბილოძის დადგმა ნიკოლო მაკიაველის „მანდრაგორა“ წარმოადგინა.
ნიკოლო მაკიაველი იყო ისტორიკოსი, მწერალი, კომედიოგრაფი. პიესა „მანდრაგორა“ დახლოებით 1512 წელს დაწერა. ეს ნაწარმოები აღორძინების ხანის საუკეთესო კომედიად არის მიჩნეული. მასში წარმოსახულია მამონდელი ფლორენციელი საზოგადოების სატირული სახე.
უმუალოდ პიესის შინაარსის შესახებ: მასში კომიკურად მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მამარიავენ საკუთარი მიზნების მისაღწევად ადამიანები ყოველგვარ ხერხს, როგორ აბრიყვებენ კაცს, რომელსაც ძალიან უნდა ჰყავდეს შვილი და მის ახალგაზრდა, პატიოსან ცოლს აძ-

ულეზენ, დაადგეს ქრის დღაატის გზას. ამში ყველა იღებს მონაწილეობას, მსახურები, მღვდელი, თვით გაბრიყვებული ქმარიც კი.
რაც შეეხება სპექტაკლს, მსახიობების ანსამბლმა რეჟისორის ჩანაფიქრი მაყურებლებამდე მიიტანეს. თეატრის სტაჟიანი მსახიობებთან - თემურ კვიციანიასთან (მესერა ნინა), ვერიკო ხუხუნაიშვილიანთან (სოსტრატა), ირაკლი ვადაჭკორიასთან (თიმოთეო) ერთად, საინტერესო სახეები შექმნეს კობა ახალაძემ (კლიმაქო), გიორგი დილიძემ (ლიფურეო), ზვიად ჯორბენაძემ (ნიკოლო), ანი გოდერძიშვილმა (ლეკრეცია).
უნდა აღინიშნოს, რომ მამუკა ბაბილოძე არა მარტო სპექტაკლის რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელიცა.
დადგმის ხელმძღვანელია ვასო ჩიგოვიძე; მსატვარი - ვია გვიჩია; ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაია; რეჟისორის ასისტენტი - მკა მამულიაშვილი.



კომპანია „NOVA-ს“ ოზურგეთულ ბრენდში, მაღაზია „ლიზი-2-ში“ მიღებულია:

- უკრაინული ბრენდის „დნიპროს“ ელემენტოტექნიკა;
- „ლიოს“, „ბემბას“, „კემოტექსის“ მაღალსარის-სოვანი საღებავები;
- „პიოლა პრაიმს“ დემონტაჟური საღებავები;
- ყველა სახის ცემენტი, ფიტისი („შაკალი“);
- საზღვარგარეთული სხვადასხვა ზომისა და ფორმის პარები, კმლის პანელი, პლასტიკატები, მეთლანი, კაფალი, ბრანტი;
- აბაჯანისა და ტუალეტის აქსესუარები;
- ავზები, სანტექნიკისათვის საჭირო

მასალები, ელემენტოტექნიკა მრთულიანი გარანტიით... „ლიზი-2“ - ფართო ასორტიმენტი, მაღალი ხარისხი, ხელსაყრელი ფასები, საუკეთესო სერვისი!

მკლემოსანთა ღია პირველობაზე

5- 6 მაისს, თბილისის მკლემოსანთა სასახლეში ახალგაზრდებს შორის ღია პირადი ჩემპიონატი გაიმართა. შეხვედრაში წარმატებით იასპარეზა ოზურგეთის მკლემოსანთა ნაკრები გუნდის ახალგაზრდა სპორტსმენებმა (მწვრთნელი მარინე კონტრიძე) და პირად ჩათვლაში დამსახურებული საპრიზო - 2 პირველი, 2 მეორე და 2 მესამე ადგილი დაიკავეს.
ამირან თავართქილაძე (3000 მ. რბენა) შედეგი 8,97 და მიშა მახარაძე (800 მ) 8,97 შედეგით ჩემპიონები გახდნენ.
დავით ტულუშს (სივრძეზე ხტომა 5მ.25სმ) და მიშა მახარაძეს (სამხტომა 11მ.25 სმ) ადგილები ერგოთ.



მესამე შედეგი მარი კანთელაძემ (პირთვის კვრა(8მ,40სმ) დავით ტულუშმა (სივრძეზე ხტომა 5მ .00სმ) აჩვენეს.

გვი ღრუბაღლი +16+27 28 მაისი ორშაბათი	ჭამა ქუნიღლი +16+23 29 მაისი სამშაბათი	გვი ღრუბაღლი +16+24 30 მაისი ოთხშაბათი	მცირე ჭვიგა +14+25 31 მაისი ხუთშაბათი	ღრუბაღლი +15+20 1 ივნისი - პარასკევი	მცირე ჭვიგა +14+18 2 ივნისი შაბათი	ჭვიგა +16+21 3 ივნისი კვირა
--	---	---	--	--	---	---

7 დღის ამინდის პროგნოზი